



შავი ზღვის ბიზნესის აკადემია

განვითარების გრძელვადიანი (6 წლიანი) სამოქმედო გეგმა /2016-2022 წ.წ./

ბათუმი
2016

შპს შავი ზღვის ბიზნესის აკადემია მიზნად ისახავს ისეთი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შექმნას, რომელიც განახორციელებს შრომის ბაზარზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო პროგრამებს და მოამზადებს კონკურენტუნარიან, კვალიფიციურ კადრებს. შპს შავი ზღვის ბიზნესის აკადემიის განვითარების გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა შექმნილია იმისათვის, რომ აკადემიამ შეძლოს მის მიერ დასახული მიზნის გამჭვირვალედ და ჯეროვნად განხორციელება. წინამდებარე გეგმა ითვალისწინებს კონკრეტული აქტივობების აღწერას, მასში გაწერილია: დაგეგმილი აქტივობა, რა უნდა გაკეთდეს დაგეგმილი აქტივობების შესასრულებლად, ვინ არის პასუხისმგებელი პირი, რა ვადებში უნდა შესრულდეს და მოსალოდნელი შედეგები. განვითარების გრძელვადიანი სამოქმედო გეგმ გადახედვა უნდა მოხდეს პერიოდულად. ადმინისტრაცია ვალდებულია ახალ თანამშრომელს გააცნოს წინამდებარე დოკუმენტი.

მიზანი	რა უნდა გაკეთდეს	პასუხისმგებელი პირი	ვადები	მოსალოდნელი შედეგი
აკადემიაში სწავლა/-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სტუდენტთა ანონიმური გამოკითხვა	ხარისხის უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ შემუშავებული ანონიმური კითხვარების შეტანა ჯგუფებში, სტუდენტთა გამოკითხვა და მიღებული შედეგების ანალიზი სწავლა/სწავლების გაუმჯობესების მიზნით.	აკადემიის დირექტორი, ხარისხის უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური,	2016-2017	ავტორიზაციის დებულებასა და სტანდარტებში არსებული მოთხოვნის უზრუნველყოფა; სწავლა/სწავლების მაღალი ხარისხი.
მოდულური პროფესიული პროგრამების დამატება	მოდულური პროგრამის დამატების საჭიროებებიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალურ ტექნიკური ბაზის/აღჭურვილობის და პროგრამის განმახორციელებელი პირების მოდულური პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა	აკადემიის დირექტორი, ხარისხის უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, აკადემიის ადმინისტრაციული პერსონალი, პროგრამის განმახორციელებელი პირები	2016-2017 წ.წ.	მოდულური პროგრამების დანერგვა, მოდულური პროგრამებით საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება
საბიბლიოთეკო ფონდის შევსება ახალი ლიტერატურით მათ შორის მოდულების მოთხოვნებთან შესაბამისობით	წიგნადი ფონდის განახლება ახალი გამოცემებით	აკადემიის ადმინისტრაცია	2016-2017 წ.წ.	ბიბლიოთეკის ახალი გამოცემებით გაზრდილი ფონდი, მოდულების მოთხოვნების საჭიროებების დაკმაყოფილება ახალი ლიტერატურით.
პროგრამის განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დონის ამაღლება პროფესიული/მოდულური სწავლების კუთხით	პროგრამის განმახორციელებელი პირების სატრენინგო სისტემის დანერგვა, ტრენინგების ორგანიზება და ჩატარება პროფესიული სწავლებისა და მოდულური პროგრამების განხორციელებისათვის. საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციასთან/განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან აქტიური თანამშრომლობა სატრენინგო დონის-	ხარისხის უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური	2016-2021 წ.წ.	პროგრამის განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის ამაღლებული დონე (სწავლა სწავლების მეთოდოლოგიები, შეფასების მიმართულებები და ინსტრუმენტები)

	ძიებებში მონაწილეობისათვის.			
აკადემიაში სამუშაო პირობების და ადმინისტრაციის შეფასება	ხარისხის უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ შემუშავებული კითხვარის მიხედვით პერსონალის ანონიმური გამოკითხვა	აკადემიის ადმინისტრაცია	ყოველწლიურად	შრომის საუკეთესო პირობები და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის მუდმივად მაღალი დონე
მატერიალურ-ექსიკური ბაზის განახლება, შევსება მოდულური პროგრამების ტექნიკური სტანდარტების მიხედვით.	ინვენტარის განახლება, შექმნა, შევსება	აკადემიის ადმინისტრაცია	2017-2022 წ.წ.	მოდულური პროგრამების ტექნიკური სტანდარტების მიხედვით განახლებული სასწავლო ინვენტარი
დამსაქმებელთა ასოციაციასთან კონსულტაცია და აქტიური თანამშრომლობა სტუდენტთა დასაქმების მიზნით	დამსაქმებელთა ასოციაციასთან კონსულტაციების გამართვა, დასაქმების ბაზრის შესწავლა და დამსაქმებელთა რეკომენდაციების მიღება სტუდენტთა პრაქტიკული უნარების გაუმჯობესებისათვის.	აკადემიის დირექტორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.	წელიწადში 2-ჯერ	სტუდენტთა პრაქტიკული უნარების გაუმჯობესება და დამსაქმებლის ჩართულობა აღნიშნული უნარების შედეგების მიღწევაში. კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის გაზრდა.
საწარმოო პრაქტიკის ობიექტების დამატება	საწარმოო პრაქტიკის ობიექტებთან კონსულტაცია და მათთან ხელშეკრულების გაფორმება სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის გავლის მიზნით, საწარმოო პრაქტიკის ობიექტებთან საწარმოო პრაქტიკის მოდულის განხილვა და რეკომენდაციების მიღება.	ხარისხის უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური	2016 –2017 წ.წ.	სტუდენტთა პრაქტიკული უნარების გაუმჯობესება, საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რაოდენობის გაზრდა
აკადემიაში სწავლა/სწავლების ხარისხის მუდმივი კონტროლი და ამაღლება	ავტორიზაციის დებულებისა და სტანდარტების მუდმივი თვალყურის დევნება, არსებული მოთხოვნების უზრუნველყოფა: სასწავლო საქმიანობის სისტემატური შეფასება, კითხვარების მეშვეობით და ეტაპობრივი სრულყოფა.	აკადემიის დირექტორი, ხარისხის უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.	2016-2022 წ.წ. მუდმივად	ავტორიზაციის დებულებასა და სტანდარტებში არსებული მოთხოვნის უზრუნველყოფა; სწავლა/სწავლების მაღალი ხარისხი.
საბიბლიოთეკო ფონდის სისტემატური შევსება	წიგნადი ფონდის განახლება ახალი გამოცემებით	აკადემიის ადმინისტრაცია	2016-2022წ.წ. მუდმივად	ბიბლიოთეკის ახალი გამოცემებით გაზრდილი ფონდი
პროგრამის განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის ამაღლება მუდმივად	სასწავლო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება (ტრენინგები)	ხარისხის უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური	2016-2022 წ.წ.	პროგრამის განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის მუდმივად მაღალი დონე

მაღალი დონის შენარჩუნება				
მატერიალურ-ექსპერიმენტული ბაზის/აღჭურვილობის განახლება, შევსება	მოდულების განხორციელებისათვის აუცილებელი აღჭურვილობის/ ინვენტარის განახლება, შექმნა, შევსება	აკადემიის ადმინისტრაცია	მუდმივად	მუდმივად თანამედროვე სასწავლო ინვენტარი
ფართის გაზრდა	ახალი სასწავლო კორპუსის აშენება და შესაბამისად მისაღებ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდა	აკადემიის დამფუძნებელი	2021-2022 წ.წ.	აკადემიის საკუთარი შენობა. მისაღებ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდა
ახალი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება	მოდულური პროგრამების დამატების საჭიროებებიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალურ ტექნიკური ბაზის/აღჭურვილობის და პროგრამის განმახორციელებელი პირების მოდულური პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა	აკადემიის დირექტორი, ხარისხის უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, აკადემიის ადმინისტრაცია	2017-2021 წ.წ.	მოდულური პროგრამების დანერგვა, მოდულური პროგრამებით საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება
საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემის დახვეწა, რომლის შედეგებსაც გამოიყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად	პროგრამის სხელმძღვანელებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან კონსულტაციები, ხარისხის უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ შემუშავებული კითხვარების მეშვეობით გამოკითხვების ჩატარება/ანალიზი. პროფესიული განათლების სფეროში ცვლილებების თვალყურის დევნება. (სატრენინგო პროცესებში ჩართვა)	ხარისხის უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, აკადემიის დირექტორი	2016-2022 წ.წ.	დახვეწილი და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებული ხარისხი.
სწავლისა და სწავლების ხარისხის მუდმივი ამაღლება	ავტორიზაციის დებულებისა და განათლების სივრცეში არსებული მოთხოვნების უზრუნველყოფა; სასწავლო საქმიანობის სისტემატური შეფასება, სრულყოფა; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ეტაპობრივი სრულყოფა; ბიბლიოთეკისა და საინფორმაციო საშუალებების გაუმჯობესება სწავლის, სწავლების და შეფასების პირობების სრულყოფა;	აკადემიის დირექტორი, ხარისხის უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.	2016-2022 წ.წ. მუდმივად	სწავლისა და სწავლების მაღალი ხარისხი
განათლების მიღების ხელშეწყობა განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისათვის	მემორანდუმების გაფორმება შესაბამის საზოგადოებებთან, საჭირო ინფრასტრუქტურითა და სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამებით უზრუნველყოფა	აკადემიის დირექტორი	2017-2022 წ.წ.	განათლების მიღების შესაძლებლობა გადაადგილების უნარშეზღუდული, უსინათლო და სმენადაქვეითებული პირებისათვის.
კურსდამთავრებულთა	ელექტრონული რეესტრის სისტემის დანერგვა,	აკადემიის ადმინისტრაცია	2017-2022	კურსდამთავრებულთა აღნიშნულ

ელექტრონული რეესტრის სისტემის დანერგვა	მისი განთავსება ვებ-გვერდზე.	IT სამსახური	წ.წ.	რეესტრთან პოტენციური დამსაქმებლებისა და დაინტერესებული პირების მოქნილი და ეფექტური წვდომის დანერგვა.
სტუდენტების პირადი პორტფოლიოები	პირადი ელექტრონული პორტფოლიოების შექმნა და მათი განთავსება ვებ-გვერდზე სტუდენტის მიერ იდენტიფიცირების საშუალებით მოხმარებისთვის	აკადემიის ადმინისტრაცია	2017-2022 წ.წ.	სტუდენტი ინფორმაციულია მის მიერ მიღწეული აკადემიური შედეგით. სასწავლო წლის განმავლობაში დაცულია სტუდენტის პერსონალური ინფორმაციის საჯაროობის პრინციპი.
დამსაქმებელთა ასოციაციასთან კონსულტაცია და აქტიური თანამშრომლობა სტუდენტთა დასაქმების მიზნით	დამსაქმებელთა ასოციაციასთან კონსულტაციების გამართვა, დასაქმების ბაზრის შესწავლა და დამსაქმებელთა რეკომენდაციების მიღება სტუდენტთა პრაქტიკული უნარების გაუმჯობესებისათვის.	აკადემიის დირექტორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური	2017-2022 წ.წ.	სტუდენტთა პრაქტიკული უნარების გაუმჯობესება და დამსაქმებლის ჩართულობა აღნიშნული უნარების შედეგების მიღწევაში. კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის გაზრდა.
დასაქმებული კურსდამთავრებულ-ების სტატისტიკის კონტროლი	კურსდამთავრებულების დასაქმებაზე მუდმივი მონიტორინგი, დამსაქმებელთა/დასაქმებულ კურსდამთავრებულთა გამოკითხვა შედეგნილი კითხვარების მიხედვით და სტატისტიკის შედგენა. აღნიშნული სტატისტიკის გამოყენება SWOT ანალიზის შედგენის დროს.	ხარისხის უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, აკადემიის ადმინისტრაცია	2017-2022 წ.წ.	კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკის არსებობა აკადემიაში
შიდა თვითშეფასების ანგარიშის მომზადება	თვითშეფასების ანგარიშის მომზადება, SWOT ანალიზის გაკეთება: სუსტი და ძლიერი მხარეების გამოკვეთა და შესაძლო რისკების გათვლა. მიღებული შედეგების მიხედვით სუსტ მხარეებზე მათი აღმოფხვრის გზებისა და რისკების შემცირების გეგმის შემუშავება/განხორციელება.	აკადემიის დირექტორი, აკადემიის ადმინისტრაცია.	2017-2022 წ.წ. წელიწადში 2-ჯერ	აკადემიის საქმიანობის მუდმივი გაუმჯობესება
ავტორიზაციისთვის მომზადება	მოქმედი სტანდარტების შესწავლა და აკადემიის ნორმატიული და სხვა დოკუმენტაციის შესაბამისობაში მოყვანა.	აკადემიის დირექტორი, ხარისხის უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, აკადემიის ადმინისტრაცია	2021/2022 წ.წ.	აკადემიის ავტორიზება და ავტორიზებულ რეჟიმში საგანმანათლებლო საქმიანობის გაგრძელება